ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №3

(ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან გაერთიანებული)

24 დეკემბერი 2021 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე,ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე,მარიამ კვერნაძე
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური- ვახტანგ ლომჯარია
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი (საკრებულოს №12-032134435-03 10.12.2021)

2. საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე (12-032118162-03)
3. საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე (12-032118162-03)
4. საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე
(12-032118162-03)
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ(12-03213563-03 22.12,2021)

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ.(12-03213578-03 23.12.2021)

7. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.(12-03213577-03 23.12.2021)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი"

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 305 418,2 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 050 302,5 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 255 115,7 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 105 501,2 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/143397) გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 5 501,2 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები (პარკირების მართვის უფლების გადაცემიდან მისაღები შემოსავლები) 30 000,0 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 50 000,0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 20 000,0 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით (43,500.0 ათასი ლარი) გამოყოფილი სესხის მომსახურების ფარგლებში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფარად მისაღები შემოსავლები - 3,500,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით ბიუჯეტის 2022 წლის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 230 318,2 ათასი ლარის ოდენობით.

გადასახადები 757 869,4 ათასი ლარი მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 547 869,4 ათას ლარს

საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 174 000,0 ათასი ლარი

ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 20 000,0 ათასი

მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი.

გრანტები 269 005,0 ათასი ლარი

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის);

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 225 000,0 ათასი ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 50 000,0 ათასი ლარით მეტია (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ხიდების და გვირაბების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის, სანიაღვრე და

საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა/ რეაბილიტაციის სამუშაოები; ავარიული სახლების ჩანაცვლება; M2 კატეგორიის ავტობუსების შეძენა; ვაკის პარკის კასკადისა და შადრევნების და ზღვის უბნის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბაგა-ბაღების და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; პროექტირების, მსხვილი არეალების რეაბილიტაციის, ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, ისტორიული სადარბაზოების და მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები და სხვა).

სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 43 500,0 ათასი ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 500,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 750,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების III ფაზის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 11 250.0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 17 500,0 ათასი ლარი, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვის პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადელად - 3 500,0 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 000,0).

სხვა შემოსავლები 203 443,8 ათასი ლარი .

მათ შორის:

შემოსავალი საკუთრებიდან – 6 000,0 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი;

სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 50 000,0 ათასი ლარი;

სხვადასხვა შემოსავლები – 49 443,8 ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - 982 943,0 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 87 417,2 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 161 383,4 ათასი ლარი, პროცენტი 11 079,9 ათასი ლარი, სუბსიდიები 321 742,2 ათასი ლარი, გრანტები 485,7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 168 829.9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 232 005,2 ათასი ლარით.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 247 375,2 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 226 844,6 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 301 844,6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება – 75 000,0 ათასი ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 20 000,0 ათასი ლარით (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 5 000,0 ათასი ლარი).

ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (100,0) ათასი ლარით, რაც შეადგენს ფინანსური აქტივების კლებას.

ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (20 630,6) ათასი ლარით, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

2022 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 20 530,6 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 262 892,5 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (174 263,8 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 88 628,7 ათასი ლარით, ხოლო

პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 38 158,5 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 2 500,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 9 500,0 ათასი ლარით (მათ შორის ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადელად 3 500,0 ათასი ლარი თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 29 729,3 ათასი ლარით;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 259 782,6 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (194 636,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 65 146,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 23 720,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 14 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) – 6 000,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) - 3 720,0 ათასი ლარით;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 167 317,1 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (148 944,1 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 18 373,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 28 500,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 28 500,0 ათასი ლარით;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 845.0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (4 164,4 ათასი ლარი) შედარებით შემცირებულია 2 319,4 ათასი ლარით;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 41 115.2 ათასი ლარი, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (39 157,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 1 957,9 ათასი ლარით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე გაიზარდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 000,0 ათასი ლარით;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 176 777,0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (154 136,0 ათასი ლარი) გაზრდილია 22 641,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 290,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 290,0 ათასი ლარით;

განათლება - 208 486,9 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (175 094,0 ათასი ლარი) გაზრდილია 33 392,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 5 800,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 800,0 ათასი ლარით;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 48 805,5 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (47 355,8 ათასი ლარი) გაზრდილია 1 449,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 5 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 5 217,8 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (4 402,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 815,5 ათასი ლარით;

ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 133 178,9 ათასი ლარით. რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (108 148,4 ათასი ლარი) გაზრდილია 25 030,5 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 4 052,6 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: მერიის

ადმინისტრაცია (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 3 000,0 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 141,9 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 620,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 200,0 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 11,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 11,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 5,5 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 5,5 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 11,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 8,2 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 8,2 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 13,8 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 5,5 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 11,0 ათასი ლარი. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე გაიზარდა ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნებები – 200,0 ათასი ლარით.

შეკითხვები ჰქონდათ საბა ბუაძეს, ანა გოგოლაძეს, ირაკლი ხელაძეს.

შეკითხვები ეხებოდა თუ რატომ არ არის ბიუჯეტში დიდვიდედიდან მისაღები შემოსავლები დაგეგმილი. ახალ პროგრამასთან (საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება) დაკავშირებით-ერთჯერადია ეს დახმარება თუ როგორ?

ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, რომლისთვისაც ბიუჯეტში 20 000 000 ლარია გამოყოფილი, რამდენი ავარიული სახლის ჩანაცვლება იგეგმება და რამდენი ოჯახი დაკმაყოფილდება.

პროგრამაში „უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების შეძენა" - რა ფართით დაკმაყოფილება არის თითო ოჯახზე განსაზღვრული.

ტაქსების რეფორმა რას გულისხმობს და ფასიანი ხდება თუ არა ზონალური პარკირება.

რითაა განპირობებული „გამწვანების პროგრამის" შემცირება.

შეკითხვებზე განმარტეს გაიოზ თალაკვაძემ და ლევან მიქავამ. მათ დაწვრილებით ისაუბრეს აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის " საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ

მომხრე- 5 თავი შეიკავა- 2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი" **გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.**

მოისმინეს: საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

წარმოდგენილი პროექტი ეხება, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელებას 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე.

მომხსენებლის განმარტებით,ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის -„COVID 19"-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით,პანდემიაზე შესაბამისი რეაგირებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება-ხელშეწყობის მიზნით, გამოცემულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებები, რომელთა შესაბამისად ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდა ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ

და შესაბამისი მოიჯარეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის შემცირდა საიჯარო ქირა და განისაზღვრა 0 (ნული) ლარის ოდენობით. ამასთან, მოიჯარეები გათავისუფლდნენ 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე პერიოდზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, ხოლო მოგვიანებით გართულებული ეპიდვითარების გამო, ქალაქ თბილისის მთავრობისა და საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, ზემოხსენებული ხელშემწყობი ღონისძიებები გაგრძელდა 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე. ვინაიდან ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშემწყობი ღონისძიებების გავრცელება 2022 წლის პერიოდზეც, წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივნისის №216 განკარგულება.

ირაკლი თავართქილაძემ მიუთითა რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების მიმართ განხორციელდეს დამატებითი შემდეგი სახის ხელშემწყობის ღონისძიებები:
-მოიჯარეებს , 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შემცირდეს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით.ამგვარი ხელშეკრულებების თანახმად, აღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 1 192 000 ლარს 2021 წლის ივნისის თვის მდგომარეობით. გაფორმებულია ჯამში დაახლოებით 153 მოქმედი ხელშეკრულება, ხოლო მოიჯარეებს წარმოადგენენ სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები.

- მოიჯარეს, რომელმაც 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადაიხადა/გადაიხდის საიჯარო ქირას/ქირის ნაწილის ან/და ამავე პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხულ პირგასამტეხლოს, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

-მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2023 წლის 1 იანვრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

-მოიჯარეს, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან;

- გადახდილი საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას;

- ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

- მოიჯარეს, რომელსაც გადაუხდელი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულება შეუწყდა/ვადა ამოეწურა ამ განკარგულების გამოცემის მომენტამდე, 2021 წლის 1 თებერვლიდან გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით და გათავისუფლდეს შესაბამისი პირგასამტეხლოსგან;

- ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახოს იმ ქვემოიჯარეებზე, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ განკარგულებით

გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შეკითხვები ჰქონდათ საბა ბუაძეს და ანა გოგოლაძეს, რაზედაც მომხსენებლისაგან მიიღეს დაწვრილებითი განმარტებები.

მომხრე- 7
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.
მოისმინეს: საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მიმღები პირების მიმართ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების საკითხი:

-მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადა ამოეწურა/ხელშეკრულება შეუწყდა 2020 წლის 1 იანვრიდან ამ განკარგულების გამოცემის მომენტამდე, თუმცა ფაქტობრივად სარგებლობდა/სარგებლობს უძრავი ქონებით, სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან ამ განკარგულების გამოცემის მომენტამდე პერიოდზე მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისათვის არ დაეკისროს სარგებლობის საფასური (ქირა) და შესაბამისი პირგასამტეხლო. მოსარგებლის მიერ ამ განკარგულების გამოცემის მომენტამდე მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისთვის გადახდილი სარგებლობის საფასური/პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექვემდებარება ჩათვლას ან/და დაბრუნებას.

- ასეთ მოსარგებლეს, მის მიერ ამ განკარგულებით დადგენილი წესით ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს არაუმეტეს სარგებლობის ვადის ამოწურვის (შეწყვეტის) თარიღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირზე არ არის რაიმე ფორმით განკარგული.

- მოსარგებლეს, რომელსაც ამ პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გაუგრძელდება შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, 2021-2022 წლების პერიოდზე სარგებლობის ქირა განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აღნიშნული ღონისძიება გავრცელდება მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით არაუგვიანეს 2022 წლის პირველი იანვრისა გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს ამ განკარგულების მე-3 პუნქტის ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას. მოსარგებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს მომართვის დროისათვის უძრავი ქონების ფაქტობრივად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ ფოტომასალა

-მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადა ეწურება 2022 წლის 1 იანვრამდე, მის მიერ ამ განკარგულებით დადგენილი წესით ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს არაუმეტეს სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად.

- ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება გავრცელდეს მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით შესაბამისი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ 2021 წლის ივნისის მდგომარეობითქალაქ თბილისის მთავრობის მიერ გაფორმებული იმ სარგებლობის ხელშეკრულებების რაოდენობა, რომელთაც შესაძლოა შეეხოთ ზემოაღნიშნული ღონისძიება, ჯამში შეადგებნს 95 ერთეულს.

ასევე მიუთითა, რომ განკარგულებით განსაზღვრული შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების -შპს „თბილსერვის ჯგუფის" შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" და სს „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის" შესაბამისი ურთიერთობების მონაწილეთა მიმართ. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების რაოდენობა ჯამში შეადგენს დაახლოებით „თბილსერვისის" შემთხვევაში 42 ერთეულს, სატრანსპორტო კომპანიის შემთხვევაში- 21 ერთეულს .

კომისიის წევრის საბა ბუაძის შეკითხვაზე მომხსენებელმა დააზუსტა, რომ ზეზემოაღნიშნული ხელშეკრულებებიდან, რომელთა მოქმედების ვადა ამოიწურა ან შეწყდა, სარგებლობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ღონისძიება შეეხებათ მხოლოდ იმ მოსარგებლეებს, რომლებიც დღესდღეობით სარგებლობენ უძრავი ქონებით, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით.

მომხსენებელმა ისაუბრა იმ მეწარმეებზეც, რომლებზეც არ გავრცელდება ხელშემწყობი ღონისძიებები:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში,გარდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატის განსათავსებლად გადაცემული უძრავი ქონებისა.

-„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

- „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიატებზე, გარდა ელექტროსადგურის მწარმოებელი პირებისა, ამავე კანონით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

- იმ პირებზე, რომელთაც უძრავი ქონება გადაეცათ პირდაპირ ან ირიბად მასზე გარე რეკლამის განთავსების მიზნით, აღნიშნული გულისხმობს მ.შ.თბილისის მასშტაბით არსებულ ავტობუსების მოსაცდელებზე, ფეხით გადასასვლელ ხიდებსა თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაზე გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კომისიის წევრმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა , რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური არ არის სწორი ფორმულირებით და მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელებიე თაობაზე"

ასევე დასძინა, რომ მიზანშეწონილია გახანგრძლივდეს შეღავათით მოსარგებლეთათვის წარმოდგენილი განკარგულებით გათვალისწინებული ვადები და შეეხოს მოსარგებლეებს, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრამდე სარგებლობდნენ ან სარგებლობენ შესაბამისი ქონებით. ვადა განცხადების წარდგენის ნაცვლად 2022 წლის პირველი იანვრისა, განისაზღვროს 2022 წლის 1 აპრილამდე.

ლევან ჟორჟოლიანის შენიშვნა გაიზიარა როგორც ირაკლი თავართქილაძემ ,ასევე კომისიის სხვა წევრებმაც.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავრთქილაძემ ისაუბრა იმ ხელშემწყობ ღონისძიებებიზე, რომლებიც უნდა გატარდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა) მიმღებთათვის 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირა შეეცვალოს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

-მოსარგებლემ, რომელმაც 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადაიხადა/გადაიხდის სარგებლობის ქირას/ქირის ნაწილს, ან/და ამავე პერიოდზე სარგებლობის ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხულ პირგასამტეხლოს, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;;

მოსარგებლეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2023 წლის 1 იანვრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრათ/დაეკისრებოდათ პირგასამტეხლო, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდნენ ამ პერიოდზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან;

ირაკლი თავართქილაძემ დასძინამ რომ ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

ასევე მოსარგებლეს, რომელსაც გადაუხდელი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულება შეუწყდა/ვადა ამოეწურა ამ განკარგულების გამოცემის მომენტამდე, 2021 წლის 1 თებერვლიდან გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით და გათავისუფლდეს შესაბამისი პირგასამტეხლოსგან;

მომხსენებლის განმარტებით, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები უნდა აისახოს იმ ქვემოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ განკარგულებით გათვალისწინებული მოსარგებლეებისგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ირაკლი თავართქილაძემ ასევე ისაუბრა იმ მეწარმეებზე, რომლებზედაც წინამდებარე განკარგულება არ ვრცელდება:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში, გარდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატის განსათავსებლად გადაცემული უძრავი ქონებისა;

- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

- „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიატებზე, გარდა ელექტროსადგურის მწარმოებელი პირებისა, ამავე კანონით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

-იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება გადაეცათ პირდაპირ ან ირიბად მასზე გარე რეკლამის განთავსების მიზნით და მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონების სარგებლობის ქირა განსაზღვრული აქვთ არაფიქსირებული ოდენობით (შემოსავლის პროცენტით).

კომისიის წევრის საბა ბუაძის შეკითხვაზე, ირაკლი თავართქილაძემ დააზუსტა, რომ პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2021 წლის პირველი თებერვლიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდისათვის სარგებლობის ქირას დაახლოებით 4 450 000 ლარის ოდენობით. აქედან ფაქტობრივად გადახდილი საიჯარო ქირის ნაწილი დაექვემდებარება შემდგომი პერიოდის ანგარიშში ჩათვლას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ.

მომხსენებელი- ვახტანგ ლომჯარია

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისათვის" ფარგლებში, 2021 წლის 10 დეკემბერს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას 101 000 000 ევროს ოდენობით, რომელიც მიზნად ისახავს საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებასა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას საქართველოს მასშტაბით, მ.შ. თბილისშიც. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ოდენობა მოხმარდება პროექტით

იდენტიფიცირებული ქვეპროექტების დაფინანსებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ქალაქ თბილისის მერიისა და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მეშვეობით, პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვიტარების ბანკს შორის განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

ვახტანგ ლომჯარიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ საკითხზე თანხმობის გაცემის შემთხვევაში (სესხის თანხა 30 000 000), მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მომზადდება ქვესესხის აღების შესახებ პროექტი, საკრებულოსგან კვლავ შეთანხმების და პროცესის შემდგომ ეტაპზე გასვლის მიზნით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აზიის განვითარების ბანკიდან სესხი თავდაპირველად აღებული იქნა 2018 წელს, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა კვლევა და გამოვლინდა გარკვეული პრიორიტეტები, რომელთა დაფინანსებასთან დაკავშირებით, აზიის განვითარების ბანკმა თავად გამოთქვა მზაობა შემდეგი პირობებით, რომ აუცილებელია სესხი მოხმარდეს ურბანულ განვითარებას და იმ საჭიროებების დაფინანსებას, რაც დადასტურებულია ოფიციალური კვლევებით და არსებობდეს თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ საშემოსავლო გადასახადის ნაწილში თანაგადახდას.

კომისიის წევრების შეკითხვაზე სესხის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ, ვახტანგ ლომჯარიამ განმარტა, რომ ერთერთ უმნიშვნელოვანეს ინტერესის სფეროს წარმოადგენს მეტრო-სადგურების რეაბილიტაციისა და შშმ პირების საჭიროებებთან ადაპტაციის საკითხი. აღებული სესხიდან მხოლოდ 30 მლნ მოზიდული იქნება ქალაქ თბილისისათვის, ამავე დროს სესხის პროცენტი არის საკმაოდ დაბალი და შეღავათიანი პირობებით.

ვახტანგ ლომჯარიამ დააზუსტა, რომ სესხის გაცემის მიზნობრიობის საფუძველს წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკის მიერ ჩატარებული კვლევა, რითაც გამოვლინდა დედაქალაქის წინაშე არსებული საჭიროებები, როგორიცაა მტკვრის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, დიღმის ჭალების რეაბილიტაცია, პარკების მშენებლობა და სხვა.

საბა ბუაძე დაინტერესდა სესხის ვადით, ასევე დაინტერესდა თუ ვინ ჩაატარა კვლევა და იკითხა რამდენად მიზანშეწონილია სესხის აღება პარკების მოწყობისათვის. აღნიშნა, რომ მისი აზრით სესხით სარეკრეაციო სივრცის მოწყობა არ უნდა ხდებოდეს.

გურამ ოქროპირიძემ იკითხა რა რაოდენობით მეტროს ადაპტირებული სადგური შეიძლება იყოს მოწყობილი.

ანა გოგოლაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს: „ როგორც თქვენ განმარტეთ, პროექტს განხაორციელებს განვითარების ფონდი, მაგრამ აუდიტის დასკვნის შემდეგ, როგორ მიგაჩნიათ განვითარების ფონდი არ გასცდება ამ ორ პრიორიტეტს?“

შეკითხვებზე ვახტანგ ლომჯარიამ დააზუსტა, რომ სესხის გაცემის მიზნობრიობის საფუძველს წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკის მიერ ჩატარებული კვლევა და სესხი გაცემულია კონკრეტული მიზნობრიობით, ურბანული განვითარების მიზნით, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით საგადასახდო ვალდებულებების შესრულების ნაწილში. ამავე დროს, ამ ეტაპზე საკითხი ეხება მხოლოდ პროექტის მხარდაჭერას და არა ხელშეკრულებაზე თანხმობას, ანუ მუნიციპალიტეტი ჩაერთოს თუ არა ამ პროექტში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-5 თავი შეიკავა-2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი-ვახტანგ ლომჯარია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ვითარების გამო, სრულიად საქართველოს ტერიოტორიაზე დაწესდა ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული შეზღუდვები, აღნიშნულ შეზღუდვებში მოქცეულნი არიან ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული კვების ობიექტები და სასტუმროებიც. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების თანახმად, კვების ობიექტებს, რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი ერიცხებათ ტექნიკური მაჩვენებლის 21 კატეგორიის მიხედვით გადასახადი განესაზღვრებათ, დასაჯდომი ადგილების შესაბამისად (სატარიფო განაკვეთი 3 ლარი ერთ დასაჯდომ ადგილზე). ასევე ამავე დადგენილები თანახმად სასტუმროებს დასუფთავების მოსაკრებელი ერიცხებათ ტექნიკური მაჩვენებლის 6 კატეგორიის მიხედვით გადასახადი განესაზღვრებათ, მომსახურების ერთეულის (საწოლი) ადგილების შესაბამისად (სატარიფო განაკვეთი 2,15 ლარი ერთ დასაჯდომ ადგილზე).

მან ასევე აღნიშნა,რომ არსებული რეალური ვითარებიდან და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დადგენილების დანართი 2-ით დამტკიცებული ტექნიკური მაჩვენებლის მე-6 და 21-ე კატეგორიის აბონენტებს დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვაში დაუწესდეთ შეღავათი 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვაში 1000 (ათასი) ლარიანი შეღავათი მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზიაში მიმდინარე ეტაპზე არსებული ინფორმაციით შეიძლება დაუწესდეს დაახლოებით 454 სასტუმროს და 1376 კვების ობიექტს (აბონენტს), სულ: 1830 აბონენტი, შეღავათი სავარაუდოდ შეადგენს 1 269 232-მდე (ერთიმილიონ ორასსამოცდაცხრა ათას ორასოცდათორმეტი) ლარს. მოცემული შეღავათები გავრცელდება შემდეგ მოსაკრებლის გადამხდელებზე: სასტუმროებზე (სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლებზე), რესტორნებზე, პიცერიებზე, სასადილოებზე (გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა) და კაფე-ბარებზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრების შეკითხაზე დააზუსტა, რომ მოსაკრებლის გადამხდელი მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით, 2022 წლის განმავლობაში. ამასთან, მოსაკრებლის გადამხდელი, შეღავათით სარგებლობისას არ უნდა იყოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმში ან ლიკვიდირებული.

შეკითხვაზე-თუ რატომ იგეგმება დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებული შეღავათები მხოლოდ მითითებული კატეგორიისათვის, და არა მაგალითად სალონების სფეროს წარმომადგენლებზე, მცირე სახის კლინიკებსა და საცხობ დაწესებულებებზე, მომხსენებელმა განმარტა, რომ რესტორნების საგულისხმო ნაწილი დახურული იქნა პანდემიიდან გამომდინარე და ამ სფეროს დახმარება სჭირდება.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი-ვახტანგ ლომჯარია

ვახტანგ ლომჯარიას განმარტებით, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის 121 მუხლით დაწესებულია მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის და განსაზღვრულია

მოსაკრებლის ზღვრული ოდენობები. აღნიშნული მუხლის თანახმად ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს - 25 ლარს ერთ კუბურმეტრ ნარჩენზე. კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების უფლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დაწესებულია მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე. აღნიშნული დადგენილებით იურიდიული პირებისათვის დაწესებული მოსაკრებლის ზღვრული ოდენობები თავდაპირველად დაწესებული იქნა ქ. თბილისის მთავრობის №2006 წლის 1 დეკემბრის №02.17.62 დადგენილებით („დედაქალაქში დაგვა-დასუფთავების და სისუფთავის უზრუნველყოფის, ნარჩენების მართვისა და ამ მიზნით ოპერატორის შერჩევისა და ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის" დამტკიცების თაობაზე), რომელიც დღემდე არ შეცვლილა.

როგორც ვახტანგ ლომჯარიამ განმარტა, ნარჩენების მართვისა და დაგვა-დასუფთავების მიზნებისთვის 2018 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული იქნა 56 306 289.96 ლარის ხარჯი. გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელ პოლიგონზე ამავე პერიოდში შეტანილი იქნა 420 ათასი ტონა ნარჩენი, რაც დაახლოებით 2 100 000 მ3-ია (ერთი მეტრი კუბი საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით შეადგენს 200 კილოგრამს) და შესაბამისად 1მ3 ნარჩენის შეგროვება-გატანის თვითღირებულებამ 27 ლარი შეადგინა. დადგენილებით ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის დაწესებული მოსაკრებლის ზღვრული ოდენობები წარმოადგენს გაანგარიშებას ყოველი 1მ3 ნარჩენის გატანისათვის 15 ლარის ოდენობით, რაც მინიმუმ 2 ჯერ ნაკლებია იმ ხარჯებზე, რომელიც ნარჩენების შეგროვება-გატანისათვისაა საჭირო.

მომხსენებლის განმარტებით, დედაქალაქში წარმოქმნილი ნარჩენების 69% წარმოადგენს ქ. თბილისში განთავსებული იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილ ნარჩენს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში ერთი თვის განმავლობაში განხორციელდა დედაქალაქში მოქმედი იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გადაანგარიშება (ქრონომეტრაჟი), დადგენილებით განსაზღვრული იურიდიული პირების კატეგორიების მიხედვით, რომლის შესაბამისად დადგინდა, რომ 2010 წლიდან დღემდე, ორგანიზაციებისა და დაწესებულების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა გაზრდილია 25%-მდე. იურიდიული პირების ნარჩენების ოდენობის 25%-იანი მატება განპირობებულია ერთის მხრივ იურიდიული პირების მატებით (დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის ბაზის მონაცემებით მატება შეადგენს 13%-ს), ხოლო მეორეს მხრივ მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობების მატებით (ქრონომეტრაჟით დადგინდა 12%-იანი მატება).

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედ იურიდიულ პირებს დაუწესდებათ დასუფთავების მოსაკრებლის ახალი განაკვეთები. დაწესებული ოდენობები შეესაბამება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-121 მუხლით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობებს. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადამხდელი იურიდიული პირები გადაიხდიან 25 ლარს ერთი კუბურმეტრ ნარჩენზე, რაც ბევრად ნაკლებია იმ ოდენობაზე, ვიდრე რეალურად უჯდება მუნიციპალიტეტს ნარჩენების შეგროვება-გატანის და მისი განთავსების მომსახურება.

აზრი გამოთქვეს:

საბა ბუაძემ იკითხა, რომ „იმ პირობებში, როცა გაძვირდა დენის, წყლის და გაზის გადასახადი და წინა პროექტით შეღავათებზე ვსაუბრობთ, რატომ ძვირდება ამ ფონზე დასუფთავების გადასახადი. სერვისების გაუმჯობესება ხდება? დედაქალაქისთვის ერთერთი პრიორიტეტი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რომ არ მოხდეს ტარიფის გაზრდა რა მოხდება „თბილსერვისის" მომსახურება გაჩერდება? „

საბა ბუაძის შეკითხვაზე ვახტანგ ლომჯარიამ განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება საჭიროა იმისათვის, რომ კომპანია ნაკლებად იყოს სუბსიდიაზე დამოკიდებული და თავის ხარჯებს თვითონ ანაზღაურებდეს.

ამავე დროს დასძინა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების პაკეტიც კი ვერ უზრუნველყოფს აუნაზღაურდეს მუნიციპალიტეტს გაწეული მომსახურების ღირებულება სრულად,რაც საჭიროა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის. ამავე დროს პროექტის მიღება მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. გაიზრდება მოსაკრებლის სახით შემოსული თანხების ოდენობა. პროექტის მიღება წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

მომხრე-5 წინააღმდეგი-2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**